

საქართველოს გამზრავი საზოგადოება

პროფესიონალური ლეგი მელიქშეთ-გეგი

7.200

საქართველოს მეზობელ მხარეთა აღწერა

მე-XVIII საუკუნის მიოւე ნახევარისა


როგორც მასალა ამინ-კავკაციის სამსტორო

გეოგრაფიისათვის

(რუკით)

ტფ 04060

1936 წ.



პროც. ლეონ ევლიასეთ-ბეგუ

„საქართველოს მეზობელ
გენერალ აღმერა“

30066 გე-ХVIII ცაცუნის მეორე ნახევრის,

როგორც გასაღა ამიერ-კავკასიის საისტორიო გეოგრაფიისათვის



(6 3 0 0)

საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოება

ტფილისი
1935

მთავლიტი 7054

ტირაუეი—1100

ტულილისი, გაბ. „კომუნისტი“-ს გ-ბის სტამბა, შექ. № 2887

,,საქართველოს მეზოგელ მხარეთა აღმერა“

გვ-XVIII საუკუნის შეორე ნახვისას,

როგორც მასალა ამიერ-კავკასიის საისტორიო გეოგრაფიისათვის

ვახუშტის გეოგრაფიის შემდეგ ე. წ. „საქართველოს მეზობელ მხარეთა აღწერა“, როგორც ქრონოლოგიურის თანამიმდევრობით, ისე ქვალიტატიურის, ე. ი. თვისებრიობითის ღირსებით, მეორე ნაწარმოებია ძველი ქართული ლიტერატურის საუნჯეში. ამასთანავე, იგი ერთად-ერთი ძეგლია ქართულ ენაზე, რომელიც შეიცავს მასალას ამიერ-კავკასიის საისტორიო გეოგრაფიისას, ერთის მხრივ, და იმავე ამიერ-კავკასიის ისტორიისას, მეორეს მხრივ, მე-XVIII საუკუნის მეორე ნახევრისათვის.

თვით ამ ტრაქტას, რომელიც „საქართველოს მეზობელ მხარეთა აღწერა“-დაა ცნობილი, მოუღწევია ჩვენამდე 2 რედაქციით: ერთია ის, რომელიც აღნუსხული იყო 1810 წ. 26 სექტემბერს შედგენილს „ქართული მწერლობის ძეგლთა სია“-ში (Список памятников Грузинской письменности; составлен 26 сентября 1810 г.), № 112-ის ქვეშე, შემდეგი სათაურით: „ინსტრუქციით აღწერა გარემოთა მეზობელთა საქართველოსათა ვითარებისა და ადგილთა“²; ეს — პირველი — რედაქცია შედგენილია 1769 წ. 14 ივნისს, როგორც ჩანს, ერთსა და იმავე დროს ქართულად და რუსულადაც, და გამოცემულია პროფ. ალ. ცაგარლის მიერ: ქართული — შემდეგი მოკლე სათაურით „Краткое описание стран и народов, окружающих Грузию“³, ხოლო რუსული — ასეთი

¹ წაკითხულ იქმნა მოხსენებად „ელხი“-ის საისტორიო სექციის სხდომაზე 1934 წ. 20 დეკემბერს. დოც. სიმ. ჯანაშიას და ვ. დონდუას მადლობას ვუძლვები ზოგიერთი საცულისხმი მითითებულისათვის.

² А. Цагарели, Сведения о памятниках грузинской письменности, т. I, в. 3, СПб. 1894, стр. 258.

³ А. Цагарели, Грамоты и другие исторические документы, относящиеся до Грузии, т. II, в. 1. Грузинские тексты с 1768 по 1801 год. СПб. 1898, стр. 8—13.

ვრცელი სათაურით: „Описание городам и местам, ближним к Грузи и Кахети, где какое войнство и какой народ обитает жительство, и чьево владения есть оные, — каково дано от царя Ираклия посланному ко выс. е. и. в. двору кн. Артемию Андроникову для подачи е. с. графу Н. И. Панину, на Грузинском диалекте. Перевод с Грузинского“⁴. მეორე რედაქცია — დავით-რექტორისეულია, იმავე საუკუნის ოთხმოციან წლებში შედგენილი, რომელსაც მოუღწევია ჩვენამდე 2 ხელნაწერად, ქ. შ. წ.-კ. გ. ს. ფონდის №№ 4989 და 2316-ის ქვეშე⁵, შემდეგი ვრცელი სათაურით: „მე, უმცირესი ვინმე, ძე ალექსისა და თელავის ქალაქის სემინარიის რექტორი დავით, მოვახსენებ მებრ თხოვწისა მათისა და რომელთამე, საქართველოს მეზობელთა მკარეთა ადგილთა. ამას უკუე წერილთა აღუწერ თქვენსა ლეოლრაფიურებ, რომელ პრინციპის ინსტრუქცია“. ეს, მეორე, რედაქცია მთლად გამოცემული არაა, მხოლოდ მისგან რამდენიმე (4) თავი გამოქვეყნებული აქვს მ. ჯანა-შვილს⁶.

თუ რა პირობებშია შედგენილი თვით ტრაქტატი, ტექსტიდან არ ჩანს. მაგრამ საგულისხმოა პირველ რედაქციასთან დართული post scriptum-ი, რომელიც ქართულს ტექსტში იყითხება ისე: „ეს ინსტრუქცია მ. ბ. 7 კანცელარიისად მირთმევად კეთილ შესაბამისით გრაცეთ, — ამისთვის აქაურნი საქმენი და გარემოებათა ჩვენთანი მ. ბ. 8 იუწყის“⁷, ხოლო რუსულში ამგვარად: „Сие известие нарочино для его графского сиятельства посылаетца об аккуратном известии в нашеи стороных“⁸. გარდა ამისა, ტრაქტატის ორსავი რედაქციაში აღნიშნულია ფრიად მნიშვნელოვანი მოვლენა ამიერკავკასიის ისტორიაში, სახელდობრ ის, რომ ქართველების მიერ ერევნის აღების შემდეგ, რომელსაც ადგილი ჰქონდათ „ათის-თხუთმეტის (პირველს რედაქციაში — ათას-თხუთმეტის, sic) წლის წი-

⁴ А. Цагарели, оп., сіл. т. I, с 1768 по 1774 год, СПб. 1891, стр. 433—438.

⁵ Е. Такайшвили, Описание рукописей „Общества распространения грамотности среди грузинского населения“, т. II, Тбл. 1906—1912, стр. 692, 626.

⁶ მ. ჯანა-შვილი, საინგილო, — „ქველი საქართველო“, ტ. II, 1911—1913, განვ. IV, გვ. 61—64.

⁷ მისი ბრწყინვალების (გრაფ. ბ. ი. ბანინთევა ლაპარაკი).

⁸ მის ბრწყინვალებას (იგივე).

⁹ А. Цагарели, Грамоты, т. II, в. 1, стр. 13.

¹⁰ А. Цагарели, Грамоты, т. I, стр. 438.

ნათ” (იგულისხმება 1751 წლის ფაქტი), ერევნის ქვეყანას დამშვიდება დაეტყო; მაშასადამე, ინსტრუქციის შედეგნისათვის შეეძლოთ ხელი მოკიდათ $1751 + 10 = 1761$ ან $1751 + 15 = 1766$ წლის შემდეგ და, ყოველ შემთხვევაში, 1769 წლამდე. ხოლო 1769 წლის გაცილებით შემდეგ და, ყოველ შემთხვევაში, არა უადრეს 1784 წლისა (თელავის სემინარიის დაარსების თარიღია) ეს ინსტრუქცია „ღეოლრაფიურებ აღწერა“-დ გადაუკეთებია დავით რექტორს.

ვინაიდან „საქართველოს მეზობელ მხარეთა აღწერა“ არსებულ ხელნაწერებში ანტონ კათალიკოზის ნაწარმ. ებს მისდევს ხოლმე, რომელიც ცნობილია სათაურით „საქართველოსა მეფეთა შთამამავლობათათვს“, ამიტომ ეს აღწერა მ. ჯანა შვილმა ანტონისად მიიჩნია და მასვე მიაწერა, ვითომცა „ანტონი II-ის ნამბობი 1757 წელს“¹¹. ამასთანავე, მ. ჯანა შვილს, მხედველობაში აქვს რა ანტონის ნაწარმოები, რომელიც გამოცემულია შემდეგი ვრცელი სათაურით: „ანტონი კათალიკოზის ისტორიული წერილი. საქართველო-იმერთა მეფებთა შთამომავლობანი და გვართა ცვლილებანი ამისა ქვემო მოხსენების“¹², ჰელი, რომ იგი მხოლოდ პირველი ნაწილია მისი ცოტად-თუ-ბევრად ვრცელი თხზულებისა, რომელიც „დაუწერია ავტორს ყიზლარის კომენდანტის ივან ფრონცილორფის ბრძანებით“¹³. ამ დებულებას არ იზიარებს „ძველი საქართველო“-ს რედაქტორი (ე. თაყაი შვილი! ლ. მ.-ბ.), რომელიც ურთავს ჯანა შვილის ეულ ამონაწერთ აღწერიდან შემდეგ შენიშვნას: „აქ მოყვანილი აღწერა შაქისა, ალისულტანისა, ხუნძახისა, დიდო - ქისტისა და სხვა თუმცა ზოგიერთ ხელნაწერებში მისდევს შემოკლებულ ისტორიას ანტონ I-ის კათალიკოსისას, მაგრამ ანტონი I-ს არ ეკუთვნის, არამედ დავით რექტორს მესხიშვილს, როგორც მოწმობებ მრავალნი ხელნაწერები“¹⁴. ამასვე იმეორებს ე. თაყაი შვილი თავის „ხელნაწერთა აღწერა“-ში, როდესაც დავით-რექტორის ეული რედაქციის სათაურის მოყვანის შემდეგ აღნიშნავს: Запись эта не оставляет сомнения, что автором статьи является Давид Ректор, а не Антоний I Католикос¹⁵. ასეთ პირობებში კი საკითხი ისე უნდა დაისვას, რომ „აღწერა“ ორი რედაქციის არსებობის გამო თუ სხვადასხვა ავტორს მიეკუთვნოს,

¹¹ მ. ჯანა შვილი, ი. ცი. ცი., 61—64.

¹² „ივერია“ 1880 წ., №III, გვ. 295—317,

¹³ მ. ჯანა შვილი, ი. ცი. ცი., გვ. 61, შენ. 1.

¹⁴ Ibid., გვ. 64, შენ. 1.

¹⁵ Е. ТАКАЙШВИЛИ, Описание, II, 626.

რომელთაგან მეორე დავით რექტორი მაინც დარჩება, მხოლოდ პირველისა გაურკვეველია, რომელიც ანტონის მიერ 1757 წელს შედგენილად მაინც ვერ ჩაითვლება, რამდენადაც იგი, როგორც ზემოთ ვნახეთ, 1769 წ. 14 იგნისითაა დათარიღებული¹⁶.

მიუხედავად იმისა, რომ პირველი რედაქცია სულ 16 თავს შეიცავს, ხოლო მეორე 13-ს, მათ შორის მაინცადამაინც დიდი განსხვავება არ არსებობს, გარდა იმისა, რომ პირველი რედაქციის უკანასკნელი თავი „აღწერა ასურთა“ მეორეში მთლად გამოტოვებულია. ხოლო პირველი რედაქციის მე-10 და 11 თავები: „აღწერა ალი სულტანისა“ და „აღწერა ჭარის ხეობისა, ჯინიხისა, თალისა და ბელაქნისა“ მეორე რედაქციაში ერთ მე-10 თავადაა წარმოდგენილი: „აღწერა ალისულტანისა, ჭარელთ და იმ ძირობისა“; აგრეთვე პირველი რედაქციის მე-13 და 14 თავები: „აღწერა დიდო-ქისტისა, ღლილვა-ზურზუკისა, თუშ-ფშავ-ხევსურისა და კევისა“ და „აღწერა გამოსავალისა გზისა“ მეორე რედაქციაში ერთ მე-12 თავადაა წარმოდგენილი: „აღწერა დიდო-ქისტისა, ღლილვისა, ძურძუკისა, თუშ-ფშავ-კევსურისა და კევისა“. არსებითი განსხვავება ამ ორ რედაქციათა შორის კი უმთავრესად იმაშია, რომ იქ, სადაც

პირველი წერია

მეორეში შეცვლილია

„ჩვენის ადგილებისა“ (აღწერა ახალციხისა)	„საქართველოსა ადგილებისა“
„ჩვენზედ“ (აღწერა განჯისა)	„საქართველოსა ზედა“
„ჩვენის მოხმარებით“ „ „	„საქართველოს მეფის ირაკლის მეორისაგან მოქმარებით“
„ჩვენსა“ (აღწერა ხამსისა)	„საქართველოს მეფის ირაკლის მეორისა“

¹⁶ ამ აღწერიდან ყრთი თავი, ახალციხის შესახებ, გამოყენებულია ალფრონ ე ლ ის მიერაც: დიდებულია მესხეთი, გორი 1914, გვ. 3 — 32, მხოლოდ თარიღი შეცდომით 1796-ის ნაჩვენები (1769-ის ნაცვლად), რაიც, უკუოდ, კორექტურულ შეცდომად უნდა ჩავიგალოთ.

„ჩვენგან და ჩვენის ჯა- რისაგან“	(აღწერა ხაშისა)	„საქართველოს მეფის ირაკლისა და მისთანა. სპათაგან“
„ჩვენთან“	(აღწერა ყუბასი)	„ირაკლი მეფესთან“
„ჩვენ“	” ”	„მეფემან ირაკლიმან“
„ჩვენთან“	(აღწერა ალისულტანისა)	„საქართველოს მეფეს- თან“
„ჩვენს“	” ”	„საქართველოს“
„ჩვენთანა“	(აღწერა ხუნძახისა)	„საქართველოს მეფეს ირაკლისთან“
„ჩვენგან“	” ”	„საქართველოს მეფის ირაკლის მეორისაგან“
„ჩვენზედ“	” ”	„საქართველოს მეფეს ირაკლის ზედა“
„ჩვენ“	” ”	„მეფე ირაკლი“
„ჩვენთან“	” ”	„მეფეს ირაკლისთან“
„ჩვენს ქვეყანაში“	” ”	„ქართლსა და კახეთს“

განსაკუთრებით აღსანიშნავია მეორე რედაქციაში შეტანილი შემდეგი ხოტბა-შესხმანი პირველი რედაქციის შემდეგი მარტივი წი-
ნადადებების დაპირისპირებით:

1. აღვერა ერევანისა-ში.

„ამათი ქვეყანა (ე. ი. ერევ-
ნელთა ქვეყანა) წამხდარი იყო
ათას-თხუთმეტის წლის (!) წინათ
ლეკთაგან და ყიზილბაშთაგან
სანამდის ჩვენ ხელს დავაფარებ-
დით. ახლა რომ ჩვენგან ხელ-
დადებულნი, მაგრა უშენი ადგი-
ლიც მრავალი აქცით.

ამათი [ქვეყანა] წამხდარი იყო
ათის-თხუთმეტის წლის წინათ ლეკ-
თაგან და ყიზილბაშთაგან, მანამ-
დის მისი სიმაღლე მეფე ირაკლი
მეორე კელს დასდებდა და საფარ-
ველსა ქვეშე თვისსა შემოიყვანდა.
და ოდეს მისსა სამყრობელოს ქვეშე
შემოვიდა, მაშინ ყოველთაგან უვ-
ნებელად დაშთენ და მისსა სიმაღ-
ლესა ირაკლი მეფესა მეორესა და-
უწყეს მონება და ხარკთა მიცემა.
ეგრეთვე აქვსთ ადგილი მრავალი.

2. აღვერა კუშუკისა-ში.

კუშუხის მთავარნი ქურდულად
გუმტერობენ.

კუშუხის მთავარი, რომელიც ირა-
კლი მეორე საქართველოს მეფეს-

თან იყო შემარიგებელი, მაგრა კუმუხის მთავარს რაც ოდენ კაცი ჰყვანდა, იგინი ქართლსა და კახეთს ქურდულებ მტერობდენ.

არის შემთხვევა, როდესაც პირველი რედაქციის გარკვეული ადგილი მეორეში შეუგნებლად გადამახინჯებულია, რაიც ისეთ შთაბეჭდილებას ჰქმნის, თითქოს დავით რექტორი თავის თავზე ამბობდეს, რომ ის მოკველი იყო. მაგალითად, პირველი რედაქციის მე-14 თავში „აღწერა გადმოსაგალისა გზისა“ ნათქვამია, რომ „ამ (ე. ი. გადმოსაგალს) გზაზე ჩ ჩი მი არის, რომელიც საზღვარი არჩეს [რუსეთისა]“¹⁷ (ეს წინადადება რუსულ თარგმანში გამოტოვებულია); მეორე რედაქციაში კი იგი იკითხება ასე: „ამ გზაზედ ჩ ე მი ი (უქარაგმოდ. ლ. მ.-ბ.) სოფელი არის¹⁸, რომელიც საზღვარი არის [რუსეთისა]“. მართლაც, ჩიმი ანუ, რუსულად, ყმი სოფელია ჩრდილოეთ-ოსეთში, თერგის ხეობაში, ლაცურს (ლარსს) და ბალთასშუა, უფრო უკანასკნელს ახლოს.

ხოლო ერთს შემთხვევაში „სომხითი“ შეგნებულად შეცვლილია „ქართლ“-ზე, სახელდობრ ყარსის აღწერაში.

„ყარსი... ნაწილი არს სომხი-
თის სამეფოება“.

„ყარსი... ნაწილი არს ქართ-
ლისა სამეფოსა“.

გარდა ამ განსხვავებათა, მეორე რედაქცია თითქოს სიტყვა-
სიტყვით მისდევს პირველს, და ეს გარემოება პირველ შეხედვით
ისეთ შთაბეჭდილებას ჰქმნის, თითქოს აქ პლაგიატთან გვქონდეს
საქმე, რასაკვირველია, თანამედროვე და არა მე-XVIII საუკუნის გა-
გებით. მაგრამ დავით რექტორი მაინც პლაგიატორი არ არის, ისევე,
როგორც პლაგიატორებად ვერ მივიჩნევთ ბერძნულ-ბიზანტიურ ლი-
ტერატურიდან ცნობილ იპოლიტეს (II – III ს.), დოროთეოს
ტკრელს (VI ს.), სოფრონი იერუსალიმელს (VII ს.) და
ნიკიტა პაფლაგონიელს (IX ს.), რომლებიც იპოლიტესგან
მოყოლებული, ერთიმეორისაგან სესხულობენ და თითქმის ერთიდა-
იმავე სიტყვებით იმეორებენ ტრაქტას „ათორმეტთა მოციქულთა
შესახებ“; მით უმეტეს, რომ არა რომელიმე სხვა ავტორს, არამედ
თვით დავით რექტორსა აქვს როგორლაც ლექსად ნათქვამი¹⁹:

¹⁷ А. Цагарели, Грамоты, т. II, в. I, стр. 12.

¹⁸ გ. ჯანაშვილით (გვ. 64) — „ჩიმი“.

¹⁹ იხ. ხელაწერი ქ. შ. წ.-პ. გ. ს. ფონდისა № 105, გვ. 182—183.

მოვიპარე, ღმერთს მივეცი
მე მადლობა ას ნაკეცი,
კაცის კულაცა მან მომმადლა,
შევაბილწე ზოგსა კეცი.

რაც შეეხება ხოტბა-შესხმას მეფის ირაკლი მეორისადმი, რომლითაც გამსკვალულია მეორე რედაქცია, იგი არ თხოულობს სპეციალურ ახსნა-განმარტებას, რამდენადაც ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს დავით რექტორთან, რომელიც საერთოდ ცნობილია როგორც პანეგირიკი ქართველ ბაგრატიონთა დინასტიისა და მის ცალკეულ წარმომადგენელთა: თამარ მეფისა, ირაკლი მეორისა, ვიორგი მეცა-მეტისა, ანტონ კათალძეობისა და სხვათა, უმთავრესად კი ირაკლისადმი, რომელსაც, სხვათა შორის, უძღვნის შემდეგ იამბუკოს (იხ. „იამბიკო მეფის ირაკლის შესხმად, თქმული მაღალ-კეთილშობილის ალექსის ძის დავითისაგან უამსა სიყრმისასა. როდესაც რიტორებას ვჰსწავლობდი, მაშინ ეს შესხმა მეფეს ირაკლი მეორეს მოგახსენე დღესა სახელწოდებისა მისისა მარტსა თ“ etc.)²⁰:

ვისურვოთ სულით, ვიმეხსიეროთ გულით,
შევასხათ ქებით შუცნიერ შეთხულობით,
ორ სკიპეტრა პყრობით, ერთ-მყოფ მონარხობით,
სიბრძნისა ტრფობით მებრ სოლომონითობით,
შესხმისა სურკო, კეთილთ დასაბამობით.

ახლა ორიოდე სიტყვა თვით ტრაქტატის შინაარსის შესახებ.

„საქართველოს მეზობელ მხარეთა აღწერა“, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შესდგება 16 // 13 თავისაგან, რომელთაც აქვსთ შემდეგი სათაურები:

პირველი რედაციით

1. აღწერა ახალციხისა.
2. აღწერა ყარსისა.
3. აღწერა ბაიაზეთისა.
4. აღწერა ერევანისა.
5. აღწერა განჯისა.
6. აღწერა ხამსისა.
7. აღწერა ყუბისა.
8. აღწერა კუმუხისა.

მეორე რედაციით

1. აღწერა ახალციხისა.
2. აღწერა ყარსისა.
3. აღწერა ბაიაზეთისა.
4. აღწერა ერევნისა.
5. აღწერა განჯისა.
6. აღწერა ხამსისა:
7. აღწერი ყუბისა.
8. აღწერა კუმუხისა.

²⁰ იხ. იქვე, გვ. 13. შდრ. ა. ხახანაშვილი, ქართული სიტყვიერების ისტორია, მე-2 გამ., ტფილისი 1919, გვ. 429.

9. აღწერა შაქისა.
10. აღწერა ალის სულტანისა.
11. აღწერა ჭარის ხეობისა, ჯინიხისა, თალისა და ბელაქნისა.
12. აღწერა ხუნძახისა.
13. აღწერა დიდო-ქისტისა, ღლილვო-ზურზუკისა, თუშ-ფშავ-ხევსურისა და კევისა.
14. აღწერა გადმოსავალისა გზისა.
9. აღწერა შაქისა.
10. აღწერა ალისულტანისა, ჭარელთ და იმ ძირობისა.
11. აღწერა ხუნძახისა.
12. აღწერა დიდო-ქისტისა, ღლილვისა, ძურძუკისა, თუშ-ფშავ-კევსურისა და კევისა²¹.
13. აღწერა ქერიმ ხანის საქ-მებისა.

16. აღწერა ასურთა.

ყოველი თავი შედგენილია გარკვეული გეგმით: ჯერ მოცემულია ცნობა თვითოვეული ქვეყნის ანუ მხარის საზღვრების შესახებ და მისი აღმინისტრატიულ-სამმართველო სისტემის შესახებ; შემდეგ — მოსახლეობის ტომობრივის ან კონფესიონალურის სახის შესახებ; შემდგომ — ცნობები ფიზიკური გეოგრაფიიდან და ციფრობრივი მასალა შესახებ იმისა, თუ რომელ მხარეს რამდენი მეომრის გამოყვანა შეუძლია ომის დროს; და ბოლოს — ზოგიერთი ცნობა ისტორიული ხასიათისა (ირან-თურქეთის კონკურენციასთან დაკავშირებით ამიერკავკასიაში).

ამ მასალიდან, ჩვენის აზრით, ყველაზე საინტერესოა სტატისტიკური ცნობები ამა-თუ-იმ მხარეში შესაკრები ჯარის რაოდენობის შესახებ, რომლის მიხედვითაც ჩვენ შეგვიძლია ერთგვარი წარმოდგენა ვიქონიოთ, რასაკვირველია, არა ზუსტი, არამედ დაახლოებითი, იმავე მხარის მოსახლეობის ოდენობის შესახებ.

აი ეს ცნობები:

ახალციხის ვეზირს შეუძლია გამოიყეანოს	5.000	მეომარი,	
ყარსის ფაშას	"	2.000	"
ბაიაზეთის ფაშას	"	1.500	"
ერევნის ბეგლარბეგს	"	2.000	"
განჯის ბეგლარბეგს	"	3.000	"

²¹ მე-9, 10, 11 და 12 თავებია ამ რედაქციიდან რომ გამოცემულია მ ჯ ა-ნაშვილის მიერ.

ხამსის მელიქებს	„	4.500	„
ჯევანშირს	„	2.500	„
ყუბა ხანს	„	? (არაა აღნიშნ.)	
შაქის ხანს	„	3.000 მეომარი	
ელისო-ჭარელთ	„	5.000—6.000 „	
ხუნძახს	„	1.500	„
დაღისტნელებს	„	,15.000—16.000 (22.000) „	

შაქის აღწერაში მოცემული ცნობა, რომ „ამას შინა მსახლობელნი არიან მრავალნი ქრისტეანენი, სომეხნი ცხადად და ქართველნი ფარულად, მაჰმადიანთა შიშისაგან“, აგრეთვე თალის, ჯინიხისა და ბელაქნის ხეობათა აღწერაში მოცემული ცნობაც, რომ აქ „,იპოებიან მცირელნი ქრისტეანენი, ზოგნი მართლმადიდებელნი ფარულად და ზოგნი სომეხნი არიან განცხადებულად“, ფრიად საგულისხმოა, რამდენადაც აქ აღნიშნულია სომეხთა, შედარებით ქართველებთან, პრივილეგიური მდგომარეობა ე. წ. „მაჰმადიან“ მხარეებში ამიერ-კავკასიისას, რაიც საუცხოვოდ ამსხერევს სომეხ და თურქ შოვინისტების თეორიას „სომეხ-თათართა საუკუნოებრივი შუღლის“ შესახებ, იმ შემთხვევაშიც კი, თუ აქ პოლიტიკური მომენტი (ორიენტაციასთან დაკავშირებით) სჭარბობდეს. და მართლაც, ცნობილია, რომ ე. წ. „მაჰმადიან“ ქვეყნებში მე-XVI—XIX ს. ს. სომეხთა მდგომარეობა შედარებით სხვა ქრისტიანეთა მდგომარეობასთან გაცილებით უკეთესი იყო; ასევე „მაჰმადიან“ თურქეთში მე-XIX ს. დასაწყისში ამავე სომეხთა მდგომარეობა გაცილებით უკეთესი იყო ვიდრე „ქრისტიანულ“ რუსეთში; რის დამადასტურებელი მასალები თავმოყრილია მთელ რიგ სომეხ მოღვაწეთა (ა ქ ს ე ლ ბ ა კ უ ნ ც ი ს²², ი ვ. ზ ა ვ რ ი ე ვ ი ს²³, პროფ. ოვ. ა კ ო ფ ი ა ნ ი ს²⁴ და სხვ.) ახლახან გამოცემულ სათანადო თხზულებებში.

უაღრესად საინტერესოა ტრაქტატში ამიერ-კავკასიის აღმოსავლეთის ნაწილის პილიტიკურ-ადმინისტრატიულ ერთეულთა ანუ კოლექტივთა აღწერა, მათ შორის „ხამსისა“, რომელშიც მოცემულია ცნობები ყარაბაღის მელიქების შესახებ დაკავშირებით მათ დამოკი-

²² Ա կ ս ե լ Բ ա կ ո ւ ն ց, Խաչատրու Աբովյանի «Անհոյտ բացակայութ», Յերևան, 1932, էջ 41—50:

²³ Յ. Զ ա բ ը մ ա ն, Մի գրուադ հայ-կաթոլիկ յարաբերութիւններից «Հայքինիք» 1930, էջ 110 et pass.

²⁴ Հ ո վ հ. Հ ա կ ո բ յ ա ն, Ապրյաւներ Հայաստանի և Անդրկովկասի պատմության. Ուղեգրություններ. Հատոր Զ. Ժմ՛ գարի առաջին քառամյակ (1800—1820). Յերևան, 1934, էջ 367—368 et pass.

დებულებასთან ყარაბალის ხანთან, ერთის მხრივ, და ქართველთა (ქართლის ან ქართლ-კახეთის) მეფესთან, მეორეს მხრივ. მხოლოდ გაუგებარია, თუ ომელი 7 სამელიქო იგულისხმება ამ აღწერაში, მაშინ, როდესაც არსებული ცნობებით სამელიქო სულ 5 იყო: გაულისტანი ანუ თალიში, ჯრაბერდი, ხაჩიანი (ხაჩენი), ვარანდა და დიზაკი, რის გამოც მათ გაერთიანებას ეწოდებოდა „ხამსა“, რაც არაბულად ხუთ ს ნიშნავს²⁵. კერძოდ რაც შეეხება ტრაქტატის მითითებას, რომ „უზისთ ამათ (ე. ი. სამელიქოთ) კათალიკოზი“, იგი სავსებით გასაგებია: აქ იგულისხმება განძასარის კათალიკოზი, რომლის საჯდომი განძასარის მონასტერში იყო და ომელიც ქართულ წყაროებშიცაა ცნობილი. მაგალითად, ფარსად ან გორგიჯანი ადგი თავისი ისტორიის იმ ადგილას, სადაც მეფის თეიმურაზის მიერ განჯა-ყარაბალის დარბევაზე ლაპარაკობს, აღნიშნავს განძასარის კათალიკოზის (სახელდობრ რომლის — არა დასახელებული) ერთგულობას თეიმურაზისადმი და მის მნიშვნელობას საქართველოსა და ირანთურქეთის ურთიერთობის ისტორიაში: „ბატონმან თეიმურაზ ყარაბალის დარბევა მოინდომა. ლევან დადიანი ოდიშის ლაშქრით, მეფე ალექსანდრე იმერეთის ლაშქრით, მესხთ თავადნი და აზნაურნი ქართველნი და კახნი სრულ შეიყარნეს და განჯა-ყარაბალი არეზამდისინ დარბიეს და ააოხრეს. ბატონი თეიმურაზ ბარდას იჯდა და განძასარის სომეხთ კათალიკოზი დიდი ჯარით და ფეშქაშით ბატონს თეიმურაზის მოუვიდა და ასრე მოახსენა: «კონტქარი და ყაენი აშლით არიანო, დრო ამის უკეთესი აღარ იქნებისო. შვიდის საქართველოს ლაშქარნი თან გახლავსო, ორმოცს ათას მეთოფეს მე მოგისხამო, ამავე ფეხსხედ თავრიზს მიბრძანდით და შვიდს დღეს თავრიზი დაარბევინეთო და შვიდის წლის ჯამაგირში ლაშქართ უანგარიშეთო, და სადამდისინ ყაენი ლაშქარს შეყრიდესო, აღრბეჟანის ბატონები გამოსცალეთო, ყველგან თქვენი ყმანი დასხითო, და მე კონტქარნთან გამგზავნეთო, იმისგან ლაშქარს მოგაშველებო. თუ ყაენი წამოდგესო, შევებათო, და ისინი ქართველთ ომს ვერ შესძლებენო, ამისთვისათ რომ ქართველთ გასაქცევი გზა შორ აქვთო. თუ გაიქცევიან,

²⁵ იხ. წყაროები და სპეციალური ლიტერატურა საკითხისა: ზათქმე ქცყ. ლითხებრ აფასმო ქმუნ ზათქმე ქცყბნ, ნე აფასხადმაყ ჩაითგნ შავანით, უკე სელნ ლაშქები ქმურება ქ მხრით მამანასას, აუნ ქ კამტ თხაონ 1722, ნე ჩაითგ 1771. ჯრასარამი ქმურება ქ ლაშქართ უანგარიშეთო, და სადამდისინ ყაენი ლაშქარს შეყრიდესო, აღრბეჟანის ბატონები გამოსცალეთო, ყველგან თქვენი ყმანი დასხითო, და მე კონტქარნთან გამგზავნეთო, იმისგან ლაშქარს მოგაშველებო. თუ ყაენი წამოდგესო, შევებათო, და ისინი ქართველთ ომს ვერ შესძლებენო, ამისთვისათ რომ ქართველთ გასაქცევი გზა შორ აქვთო. თუ გაიქცევიან,

օւրունո, հռմ զե՛ր ցա՛շվե՞նո, ցնա՞նց քածուցե՞նո. մա՛՛ ցայլցուս դոյշու արցուս ցինե՞ծունո. մալմուցեմոտ ըակնիցե՞ն ոմես և ծիմուլասառ, և ցամարչացեթա տէշե՞ն դագրիկեծունո, և մտացա՛ր կը մի՛տոցեթ ցայլուրտեթուո և սայրուստիունո Շենուո դակեսնե՞ծունո և ցամլուցեթեթեծունո»²⁶. Շեմքը ցահուսաճանո մոցցութերուծ ուցումնանու շպան դաեցուս Շեսաե՞ծ և դասեցնս: „[Եղոմնան] ցանջութամ օպարա և դաշութ եան ցոռլուցունու տացուսուս սապարուս մորուժուլուծուտ ցորկ մուսսեա“²⁶.

Սանելուրեսու ագրետու ցնութե՞ն յաեցուս սամեցուս և դալուս-
տնուս ցրտուցերուծունու Շեսաե՞ծ, կը հում քարուս և ծելայնուս Շեսաե՞ծ, Շեգարյեծուտ աելուսան ալմոհենուլ շսաելու աբուրուս յիշոնոյաստան
արածուլ յենանց²⁷.

Սապուրու ագրետու ալունունուս, հռմ Քրայթաթու, պայլա լուրսց-
ծառա ցպերդուտ, ցահնու համքունում լաքսուս, հռմելուաց յսապուրու-
յեծուտ ցարկացուլու աենա-ցանմարթեթա. այս, պարսուս ալժիրանու նատքա-
մուս, հռմ ոցու „արս յեպանացրուո մաելուծ արարաւուս մտու-
սա“; կազասունուս սայրուու ցինութեթա „օալթութու“, և ամուս ցամռ քարուս
եցունուս, ջոնունուս, տալուս և ծելայնուս ալժիրանու նատքամուս, հռմ
լույկեթս „գալուս գրանուս օալթութու ցինութու“, եռլու
Շայիս ալժիրանու ալնունուլուս, հռմ մցու „յեպանա յես Շորցանուս Շյ-
մուցունութեթու օալթութու ցալուս յեպան և ցաեցուս գալուրեծուտ
մուցունութեթու“ և „մտաց օալթութու այցու“; հռմելուց „յանցությու-
նուս ալմուսացուու կը հունու“- և մցու. յըրեցնուս ալժիրանու յո մուտութեթուլուս
ոմանց, հռմ ոցու „յերանուս սամեցլարթեցու ացցուլու“- ա, „հռմելուց պա-
տուու ձորուլու սամեցտ մեցուս գրանու“, հայու օսյ շնձա ցազուցու,
հռմ յըրեցնու յո ար պատուու „սամեցտ մեցուս գրանու“, արամեց—
„սամեցտ մեցուս գրանու“ յըրեցնուս յեպանանու պատուու (օցուլուսեմեծա,
յեր արգամաթու— արգամաթու, Շեմքը ցալարմաթու — ցալարմաթու).

Քրայթաթու հիշեն ցայլունութեթու որուց արսեցուլու հեծայլուս մո-
խեցուտ եղ լը regard: մարցենու— ձորուլու հեծայլուս 1769 վլուս
ձիրոց. ալ. ցագարլուս ցամռունուս տանամաց, եռլու մարչացնու— մյ-
ուրյ հեծայլուս լազուտ հեծայլուս, հռմելուց ձորուլու հիշեն մոյր
ուրեմա տանամաց յ. մ. վ.-յ. ց. ս. գունդուս №№ 4989 և 2316

²⁶ Ա. յայտած յ, ցահուսաճան ցորոցունուս ութուրուս, Ըլուլուս 1928,
83. 30—31.

²⁷ օթ. Хроника войн Джара в XVIII столетии. Предисловие В. Ху-
лу фլу. Издательство Аз. ГНИИ. Баку 1931.

ხელნაწერების მიხედვით, რომელთაგან ერთი (A) გადაწერილია იოსები აზვილის მიერ 1821 წელს („აღიწერა კელითა იოსებ იაშვილისათა, ჩყკა წელსა“)²⁸, ხოლო მეორე (B) იოსებ ავალოვი ვითხოვ შეცომისა მოტევებას 1825 წელს, ივლისის 25 დღესა“)²⁹.

ტრაქტატი შეიძლება გამოყენებულ იქნეს, სხვათა შორის, მე-XVIII საუკუნის პოლიტიკურ-ადმინისტრაციული რუკის შესადგენად³⁰.

²⁸ Е. Такайшвили, op. cit., II, 692.

²⁹ Ibid., 626.

³⁰ შვ. „Карта Кавказского края с обозначением политических границ конца XVIII столетия“, приложение к книге В. К. Линдена „Высшие классы коренного населения Кавказского края и правительственные мероприятия по определению их сословных прав“, изд. Канцелярии Наместника на Кавказе, Тифлис 1917. Անդրկովկասը XIX-դ դարիսկզբին, կից «Աւդեգրությունների» 2 հատորի, հրատ. Մելքոնյան Գևոնդի, Յերեվան 1934.

შე, უმცირესი ვინშე ძე ალექსი-
სა¹ და თელავის ქალაქის² სემი-
ნარისის³ რეკტორი დავით, მოგახ-
სენებ მებრ თხოვ[ნ]ისა⁴ მათისა
და რომელთამე⁵, საქართველოდას⁶
მეზობელთა მკარეთა ადგილთა.
ამას უკუმ წერილითა აღუწერ
თქვენსა ლეოლრაფიურებ, რომელ
არს ინსტრუქცია.

აღმერა ახალციხისა

ახალციხის ქვეყანა, რომელიც
არის ქართლის ქვეყნისა ნაწილი
ერთი, რომელიც უჭირავს ახლა
ხვანთქარსა ძალითა, და არიან
გაპამამაღიანებულნი, და ადგილ
ადგილ მცირედნი ქრისტიანენიც
იპოვებიან, და ჰქვდან ადგილთა
ამათ საათაბაგო. ამას მთაცა
აქუს და ბარიცა. ვაკეა მინდუ-
რიანი და კეთილნაყოფიერი.
არს დასავლით კერძო მდებარე-
ობა ამისი და მცირედრე დაზი-
დული სამხრით კერძოდაცა,
არს მესაზღურე ჩვენის ადგილე-
ბისა — ზემო - ქართლისა, სომხი-
თისა და თრიალეთისა. აქა ზის
ვეზირი სამთულიანი და არს შემ-
ძლებელი თავისავ ადგილში ხუ-
თის ათასის მეომრის კაცის გა-
მოყვანისა, მაგრა ჯაბანნი და
შეუბედავნი არიან ომსა შინა.

აღმერა ახალციხისა

ახალციხისა ქვეყანა, რომელიც
არის ქართლის ქვეყანისა⁷ ნაწილი
ერთი, რომელიც⁸ უჭირავს ახლა⁹
ხვანთქარსა ძალითა, და არიან გა-
მახმაღიანებულნი¹⁰, და ადგილ - ად-
გილ მცირედნი ქრისტიანენიცა¹¹
იპოვებიან, და ჰქვიან¹² ადგილთა
ამათ საათაბაგო. ამას მთაცა¹³ აქვს
და ბარიცა, ვაკეც მინდებრიანი და
კეთილნაყოფიერი. დასავლით¹⁴ კე-
რძო მდებარეობა ამისი და მცი-
რედრე დაზიდული¹⁵ სამხრით კერ-
ძოდცა. არს მესამძლევრე საქართ-
ველოსა ადგილებისა, ესე იგი ზე-
მო - ქართლისა¹⁶, სომხითისა და
თრიალეთისა¹⁷. აქა ზის ვეზირი¹⁸
სამთულიანი¹⁹ და არს²⁰ შემძლებე-
ლი თავისავე²¹ ადგილში ხუთის²²
ათასის მეომრის კაცის გამოყვა-
ნისა²³, მაგრა ჯაბანნი და შეუბე-
დავნი ომსა შინა. ამას მრავალი

1 A ალექსანდრესი. 2 B თელავი - ქალაქისა. 3 სემენარის. 4 A თხოვს. 5 B რომლითამე. 6 B საქართველოისა. 7 A ქართლის. 8 A რომელიცა. 9 B ახალ.

10 A გამახმადებულნი. 11. A ქრისტიანენიცა. 12 A ჰქუიან. 13 B მათაცა. 14 და-
სავალით. 15 A დაზიდულ. 16 A ზემო ქართლის. 17 A თრიალეთის. 18 B ვეზერი.
19 A სამთულიანი 'sic'. 20 A დარს (sic). 21 B თვისავე. 22 B ხუთი. 23 A გა-
მოყვანის.

ამას მრავალნი ადგილები აქუს ლეკისაგან აოხრებული და იმათგან მრავალი ძალი აქუსთ დაკლებული, და ეს ახალციხელნი ჩვენთან უშფოთლად არიან და მშვიდობით.

აღმერა ზარსისა

ყარსი არს ქვეყანა ერთი მახლობელად არარატის მთისა. ესეცა ნაწილი არს სომხითის სამეფოსა და არიან დღეს გაპამადიანებულნი; მაგრა ქრისტიანენი მრავალნი იპოვებიან აქა—სარწმუნოებით სომხენი და მცირედნი ქართველნიცა; აქუს მთა, მაგრა ბარი უდიდესი აქუს; და არს ვაკე მინდურიანი, უტყეო; ძევს სამხრეთ კერძო და მცირედრე დაზიდულ დასავლით კერძოდ. ზის ფაშა ორთულიანი და ხან სამთულიანი, და არს შემძლებელი თავისავ ქვეყანაში ორი ათასის მეომრის კაცის შოვნისა; და ჩვენის ქვეყნის ადგილების საზღვარი და ყარსისა ერთმანერთში არიან. ამასაც მრავალი ადგილი აქუს ლეკისაგან აოხრებული, და არიან ესენიც ომში შეუბედავნი, ჯაბანნი და გამოუცდელნი.

ადგილები აქვს ლეკთაგან²⁴ აკლებულნი და მათგან²⁵ მრავალი ძალი აქვს²⁶ დაკლებული²⁷. და ესე ახალციხელნი ჩვენთან მშვიდობით და დაზავებით არიან და ოდესმე აშლით.

აღმერა ზარსისა

ყარსი არს ქვეყანა ერთი მახლობელ არარატის²⁸ მთისა. ესეცა ნაწილი არს ქართლისა სამეფოსა. და არიან დღეს გამახმადიანებულნი²⁹. მაგრა ქრისტეანენი მრავალნი იპოვებიან აქა სარწმუნოებით სომხენი და მცირედნი ქართველნიცა. აქვს მთა მაგარი (sic), ბარი უდიდესი აქუს. და არს ვაკე მინდვრიანი უტყეო. ძე[ვ]ს სამხრით კერძო და მცირედრე დაზიდულ³⁰ დასავლით კერძოდ. ზის ფაშა ორთულიანი და ხან სამთულიანი, და არს შემძლებელ თავისავე ქვეყანაში ორის ათასის მეომრის³¹ კაცის შოვნისა. და ჩვენის ქვეყანის ადგილების სამძღვარი³² და ყარსისა ერთმანერთში არიან. ეგრეთვე საათაბაგოსაცა მესამძღვრენი³³ არიან. ამასაც³⁴ მრავალი ადგილები³⁵ აქვს ლეკთაგან აოკრებული, და არიან ესენიც ომში ჯაბანნი და შეუბედავნი.

24 A იმათგან. 25 A აქუსთ. 26 A დაკლებულ. 27 B არარატისა. 28 A გამახმადებულნი. 29 B დაზვდულ (sic). 30 A მეომრის abs. 31 B სამზღვარი. 32 A მესამძღვრენი (sic). 33 B ამასაცა. 34 B ალაგები.

ბაიაზეთი არს ქვეყანა ერთი, რომელშიაც ზის ფაშა ორთულიანი, და არს ნაწილი სომხითის სამეფოდა, და შეუძლია გამოყვანა თავისავ ქვეყანაში უჯამაგიროს კაცისა, მეომრისა, ათას ხუთასისა. აქ იპოვებიან მრავალნი ქრისტიანენი—სარწმუნოებით სომეხნი. ეს ბაიაზეთის ქურთები ხვანთქარს მაგოდნად არას ემსახურებიან, თუ არ თავისის ნებითა. ქევს სამხრით კერძო და დამოკიდულ არს ზურგსა არარატისასა, და მესამზღვრენი არიან ერევნისა, სალმასისა და ყარსისა, და ესენი იმათზედ ომში უფრო გამოცდილნი არიან და აქუსთ ქვეყანა შენი, და მტრისაგან წაუმხდარი.

აღმერა მრევენისა

ერევანი არს ერანის საბეგლარბეგო ადგილი ერთი, რომელიც რომ ყოფილა პირველ სომეხთ მეფისა ტახტი; ზის აქა ბეგლარბეგი, მაგრა უმცვიდრო, და აქავ არს ტახტი სომეხთ ქათოლიკოზებისა. მთაც მრავალი აქუს და ბარიცა, და არს ნაყოფიერ-მოსავლიანი. სახლობენ აქა მრავალნი ქრისტიანენი სარწმუნოებით სო-

ბაიაზეთი არს ქვეყანა ერთი, რომელშიაც ზის ფაშა ორთულიანი, და არს ნაწილი სომხითისა სამეფოდა. და შეუძლიან გამოყვანად თავისავ ქვეყანაში უჯამაგიროს მეომრის კაცის³⁵ ათას ხუთასისა. აქა იპოვებიან მრავალნი ქრისტეანენი³⁶ სარწმუნოებით სომეხნი. ესე უკვე ბაიაზეთელნი ქურთები ხვანთქარს³⁷ ეგოდენად არას³⁸ ემსახურებიან, თუ არ თავისის ნებითა. ძევსს სამხრით კერძო და დამოკიდებულ არს ზურგსა არარატისასა. და მესამძღრეთ³⁹ არ იან ერევნისა და სალმასისა და ყარსისა. და ესენი იმათზედ ომში უფრო გამოცდილნი არიან. და აქვსთ ქვეყანა შენი და წაუმკდარი.

აღმერა მრევენისა

ერევანი არს ერანისა⁴⁰ საბეგლარბეგო ადგილი ერთი, რომელიც რომ ყოფილა პირველ სომეხთ⁴¹ კელმწიფის ტახტი⁴². ზის აქა ბეგლარბეგი, მაგრა უმცვიდრო. და აქავ არს ტახტი სომეხთ⁴³ ქათოლიკოზისასა. ხოლო აქუს მთაცა⁴⁴ და ბარიცა მრავალი⁴⁵, და არს ნაყოფიერ-მოსავლიანი⁴⁶. სახლობენ⁴⁷ აქა მრავალნი

35 B კაცისა. 36 A ქრისტიანენი. 37 B ხვანთქარისა. 38 AB არს (sic). 39 B მესამძღურეთ. 40 B არანისა. 41 B სომეგთ (sic). 42 B ხატი (sic). 43 B სომეგთ. 44 B მათაცა (sic). 45 A მთაცა და ბარიცა მრავალი] მთაცა მრავალი და ბარიცა. 46 AB მოსავალნი. 47 B სახლოებენ (sic).

მეხნი. ამათი ქვეყანა წამხდარი იყო ათას-თხუთმეტის წლის (?) წინათ ლეკთაგან და ყიზილბაშთაგან, სანამდის ჩვენ ხელს დაფაფურებდით. ახლა რომ ჩვენგან ხელდადებულნი შეიქნენ, ყველათვან დაფარულნი არიან, და ჩვენ გვემსახურებიან, მაგრა უშენი აღიღილიც მრავალი აქუსთ. ძევს სამხრით კერძო, საშუალ ქართლისა და ბაიაზეთისა. ჩვენის ქვეყნის სირონი და ესე ერთმანერთში არიან. ჩვენსა და იმათ შუა მთა ძევს ურმისა და ქარავნის საგალია. და შეუძლია გამოყვანა თავისავ ქვეყანაში ორის ათასის მეომრის კაცისა, მაგრა ესენიც ომსა და შებმაში ჯაბანნი, შეუმართავნი და გამოუცდელნი არიან უფროსლა.

ქრისტეანენი სარწმუნოებით სომეხნი. ამათი [ქვეყანა]⁴⁸ წამხდარი იყო ათის-თხუთმეტის წლის წინათ⁴⁹ ლეკთაგან და ყიზილბაშთაგან, მანამდის მისი სიმაღლე მეფე ირაკლი მეორე კალს დაჲსდებდა⁵⁰ და საფარველსა ქვეშე თვისსა შემოიყვანდა. და ოდეს მისსა სამყრობელოს ქვეშე⁵¹ შემოვიდა, მაშინ ყოველთაგან უვნებლად დაშთენ და მისსა⁵² სიმაღლესა ირაკლი მეფესა მეორესა დაუწყეს მონება და ხარკთა მიცემა. ეგრეთვე აქვსთ აღგილნია⁵³ მრავალნი უშენად, რომელი პსძევეს სამხრით კერძო საშუალ ქართლისა და ბაიაზეთისა. ჩვენისა ქვეყანისა [სირონი] და ესე ერთმანერთში არიან. ჩვენსა და იმათს⁵⁴ შუა მთა პსძევეს ეს გვარი, რომელ ურემი და ქარვანი გარდავა. და შეუძლიან გამოყვანა თავისავ აღგილში ორის ათასის მეომრის კაცისა⁵⁵. მაგრამ ესენიც შებმასა და ომსა შინა ჯაბანნი და გამოუცდელნი⁵⁶ არიან.

აღმერა განჯისა

განჯა არს ქვეყანა ერთი ერანის საბეგლარბეგო, ქალაქი პატიოსანი და ციხე ქებული. ესენი ჩვენშედ მახლობელნი მესამშლურენი არიან. ამათში ქრისტიანენი მრავალნი არიან, სარწმუნოებით

აღმერა განჯისა

განჯა არს ქვეყანა ერთი ერანის საბეგლარბეგო, ქალაქი პატიოსანი და ციხე ქებული⁵⁷. ესენი საქართველოსა ზედა მახლობელნი მესამძლვრენი⁵⁸ არიან. ამათში ქრისტეანენი⁵⁹ არიან⁶⁰ მრავალ-

48 AB ამათი (sic). 49 B წინათ] უკან. 50 B დასდებდა. 51 B თვისსა შემოიყვანდა. და ოდეს მისსა სამყრობელოს ქვეშე abs. 52 B ამისა (sic). 53 B აღგილნი abs. 54 A ამათს. 55 A კაცისა. 56 A გამოუცდენი (sic). 57 A ქებულ. 58 B მესამძლვრენი. 59. A ქრისტიანენი. 60 B არიან (sic).

სომეხნი; მთასა თუ ბარში არს ადგილი ნაყოფიერი, და უზისთ ხანი მემკვიდრეობით; ამათ შეუძლია თავისავ ქვეყანაში სამის ათასის მეომრის კაცის გამოყვანა. ძეგს ქვეყანა ესე საშუალ აღმოსავლისა და სამხრისა — შირვანისა, ყარაბაღისა, ერევნისა, ხამსისა და ქართლის შუათ; მთიან-ბარიანი და წყლიან ნაყოფიერი. ამ განჯის მეპატრონენი გარეშემო მეზობლებისაგან და თავისის ხალხისაგან ბევრჯელ გარდაცვივდენ თავისის ადგილიდამ, და ჩევნის მოხმარებით და ჯარის მიცემით მტრებიც გაუფუჭეთ, ქალაქი, ციხე, ქვეყანაც მიუღევით ამათ მტრებსა და ისევ ეს მემკვიდრეები დავსხით, და ჩევნგან დაპყრობილი ადგილები იმათვე მივეცით; და ამ მიზეზებით ერევანსავით გვმორჩილებენ შეძლებისაებრ, და რადგანც ლეკზედ მახლობელად არიან, ამათი მძევლებიც გუყავს; და ომში ერევნელთაგან უმეტესი და უმხნესი გამოცდილება აქუსთ.

ნი სარწმუნოებით სომეხნი. მთასა თუ ბარში არს ადგილი ნაყოფიერი, და უზისთ ხანი მემკვიდრეობით. ამათ შეუძლიათ თავისავ ქვეყანაში სამის ათასის მეომრის კაცის გამოყვანა. ჰსძევს⁶¹ ქვეყანა ესე საშუალ აღმოსავლისა და სამხრისა, შირვანისა⁶², ყარაბაღისა, ერევნისა, ხამსისა და ქართლისა შუათ. მთიან-ბარიანი და წყლიან-ნაყოფიერი. ამ განჯის მეპატრონენი გარეშემო მეზობლებისაგან⁶³ და თავისის ხალხისაგან⁶⁴ ბევრჯერ გადაცვივდენ⁶⁵ თავის ადგილიდამ, და საქართველოს მეფის ირაკლის მეორისაგან მოქმარებით და ჯარის მიცემით მტრებიც გაუფუჭდათ და დაუმარცხდათ. ქალაქი-ციხე და ქვეყანაც მიუღეს მათთა მტერთა და აგრეთვე იგივე მემკვიდრენი დასვეს, და მეფის ირაკლისაგან⁶⁶ დაპყრობილი ადგილები მათვე მიეცათ. და მიზეზითა უკუც ამითა ერევნისაებრ მორჩილება დაიწყეს და ხარკის მიცემა მეფეს⁶⁷ ირაკლის⁶⁸ შეძლებისაებრ⁶⁹ მათისა. და რადგანც⁷⁰ ლეკზედ მახლობელად იმყოფებიან, მიზეზითა ამითა განჯის ქვეყანის მძევალნი ტფილისს⁷¹ იმყოფებიან. გარნა ომსა შინა ერევნელთაგან უმეტეს გამოცდილება აქვსთ.

